№ 143 11 Ივლისი, Ოთხშაბათი 1866—1879 11 Ივლისი, Ოთხშაბათი № 143

დროება

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

Გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დანაბეჭდებით ასოზე 1 კაპ. ნეულებრივის ცალკეროთი — 5 კ.პ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ᲬᲛ. ᲝᲚᲒᲝᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲮᲕᲐᲚ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ.

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოეის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**ᲮᲣᲗᲘ** მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხოა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 ივლისს. ქაპის კალონიიდამ იწერებიან, რომ ზუზუებს გამოეგზავნათ ინგლისის ბანკში ელჩი მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად. ინგლისელები თანახმა არიან, რომ სამხედრო მოქმედება დროებით შესწყვიტონ ᲔᲮᲝᲚᲝᲗ იმ პირობით, თუ მორიგების უმთავრესი მუხლები ამ თავითვე გამოკვლეული და მიღებული იქნებაო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 5 ივლისს. სომხების ნაციონალურ კრებამ გადაწყვიტა შესჩივლონ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს იმ გარემოებაზედ, რომ ᲝᲡმალეთის მთავრობა რუმელიიდამ გადმოსულ მაჰმადიანებს სომხეთში ასახლებს; ამას გარდა უნდა განაცხადონ თავის უკმაყოფილება იმაზედაც, რომ ზეითენში და მარამში ᲝᲡმალოს მთავრობა ურიგოთ იქცევა, ზეითუნში მაგალითად დანიშნეს სამხედრო ლუბერნატორად მაჰმადიანი და სხვ. ნაციონალურ კრებამ გადაწყვიტა მადლობა შეეთვალოს ლორდ ქარნარვონს, რომელიც ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ პარლამენტის სხდომაზე თხოულობდა, რომ ᲝᲡმალეთმა მიანიჭოს სომხეთს დაპირებული რეფორმებიო.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 7 ივლისს. Გრაფი Იგნატიევი დანიშნა ნ-ჟეგოროდის ღენერალ-ლუბერნატორად დროებით, სანამ იარმუკა იქნება.

Მარკ ტრაბინი ᲦᲠᲣᲡᲙᲐᲠᲘᲜᲘ დამტკიცდა Იტალიის კონსულად Თფილისში.

Პოლკოვნიკი თ. Დავით Სუმბათოვი Თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლელად დამტკიცდა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 6 ივლისს. Ამბობენ, მთავარ ვეზირმა ხაირედდინ-ფაშამ მისცა ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲡ სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი, მაგრამ ისევ დარჩებაო, თუ ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲘ მისცემს ნებას, რომ ერთნაირი სამინისტრო შეადგინოს და თუ ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲘ დათანხმდებაო, რომ იქმნეს ᲝᲡმალეთის მეფედ და არა მმართველად.

ᲡᲝᲤᲘᲐ, 6 ივლისს. Ბუშინ შესდგა ახალი სამინისტრო ბოლგარიისა: Შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა—Ბურმოვი, უცხო ქვეყნის საქმეთა—Ბაგრაბანოვი, ფინანსის—Პაჩევიჩი, სამხედრო—Პარენცოვი და იუსტიციისა—Ბაჩეკოვი.

საქართველო

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Გაზეთის „Ბაქოს Ცნობების“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ტელეგრამმა, რომელიც იქაურ ნევთის მეპატრონეებს გაუგზავნიათ ფინანსის მინისტრის სახელობაზე და რომელშიაც ესენი სთხოვენ მინისტრს, ნამდვილად აცნობოს—თუ როდის იქნება მზათ Ბაქო Თფილისის რკინის გზაო. Ამავე გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე ამ ტელეგრამმის პასუხი უფ. მინისტრისა. Აი ეს პასუხი:

„Ბაქოს რკინის გზის საქმე მინისტრების კომიტეტისაგან იქნება ამ მოკლე ხანში განხილული; ეს გზა სამს წელიწადს ნახევარში უნდა იქმნეს სრულიად გათავებული“.

*** Ქალიამ უკვე მოიტანა თავის ნაყოფი: ქალაქის ვაჭრებმა თითქმის ყოველგვარი ᲮᲝᲠᲐᲒᲔᲣᲚᲘ გაეძვიენ ამ უკანასკნელ დროს. Თეთრი პური მაგალითად, რომელიც ადრე გირვანქა შაურათ ისყიდებოდა, ახლა 6—7 კაპეიკ ნაკლებ აღარ ჰყიდიან. Ამნაირადვე გაძვირდა სხვა ყოველი ᲮᲝᲠᲐᲒᲔᲣᲚᲘ და წვანილოულიც.

*** Ეს მეორე კვირა გადის, რაც ქალაქში საშინელი სულისა და გულის შემხუთავი სიცხეებია. ჰაერთის მოძრაობა ვერა გრძნობს კაცი ვერც დღისით და ვერც საღამოთი და ღამით. Შუადღიდამ ოთხ საათამდინ მაინც ისეთი ალმული ადის დედა-მიწას, რომ გეგონებათ ცეცხლი უჩნდებაო. Ბუშინ და გუშინწინ, რამდენიმე ცხენი დაიხოცა ამ სიცხისაგან; გვითხრეს ერთი კაციც მოკედაო ბულვარზედა.

Თუ ამისთანა სიცხეებმა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანა, არ ვიცით რა მოგველის...

*** ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲓᲐᲛ გვატყობინებენ, რომ იქაურ გლეხებში რაღაც უკმაყოფილება ისმის ადგილობრივ ადმინისტრაციაზედაო; ბეგარის გამო არიან როგორც ამბობენ, შეეიწროებულიო და ამაზედ სჩივიანო.

*** Ჩვენ შევიტყეთ, რომ დილმელები ძალიან შეეიწროებული არიან თურმე ამ ჟამად ერთის მხრით იმისაგან, რომ მომეტებული ნაწილი ნამუშევარი კალიამ გაუფუჭა და მეორეს მხრით უფრო კიდევ იმისაგან. რომ იმათი მოსამზღვრე და ადრინდელი მებატონე თ. Ი. ᲯᲐ. მუხრანსკი ძალიან ავიწროებსო წყლის მხრით რადგან რაც წყალია, სულ იმას მიაქვს თავი ვენახებისათვის და გლეხების ვენახები კი მოურწყავი რჩება და ფუჭდებაო.

*** Ბორიდამ გვწერენ, რომ იქაური სომხური შკოლა ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო, მასწავლებლები მხოლოთ იმას ჰფიქრობენო, რომ დანიშნულ რიცხვს ჯამაგირი აიღონ და უმაწვილების სწავლაზედ სრულიად ყურადღება არა აქვთ მიქცეულიო. სხვათა შორის, ერთი მასწავლებელი ყოფილა ამ შკოლაში, რომელსაც შკოლა საქეიფო სახლად გარდაუქცევია, ეიღაც ქალებსა და ყმაწვილ კაცებს აგროვებს შკოლაში და ქეიფს ეწევიანო. Მშობლებს გაუგიათ, რომ შკოლა გაბილწულია მასწავლებლისაგან და ერთი ამბავი ჩაუდენიათ ხსენებული მასწავლებლისათვის...

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ სამასწავლებლო სემინარიის გახსნის თაობაზედ ჩვენ მიეიღეთ ამ ქალაქიდამ შემდეგი შენიშვნა:

„ᲑᲣᲨᲘᲜ 5-ს ივლისს, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ Დუმის სხდომაზე, სანამ სხდომა გაიხსნებოდა, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიის სახალხო შკო-

ლების დირექტორმა უფ. მარსოვმა როგორც კერძო პირმა, მოახსენა დუმას უმაღლესი მმართებლობის ნება, რომ უკვე გარდაწყვეტილიაო რომ ძუთაისის გუბერნიაში აუცილებლად დაარსდეს ერთი სამასწავლებლო სემინარია „სამაგალითო ქართულის შკოლათ“ (съ образцовою грузинской школой).

„მე მომანდო სამასწავლებლო უწყების მზრუნველმაო სთქვა უფ. მარსოვმა, დაეხმარო მას ამ საქმეში და ადგილი ამოვარჩიო—სად ამჯობინებს ეს სემინარიაო. რამდენათაც ამ ცოტა ხანში მოვასწარ ამ გუბერნიის გაცნობა მე არ შემიძლიაო, რომელიმე სხვა ადგილი ვამჯობინო ყოველის მხრით ძუთაისსაო და ამისათვის ჩემი მოხსენებაც მზრუნველთან ამ აზრის იქნებაო.“

„აქ უ. მარსოვმა განმარტა, თუ რით ამჯობინებს რომელი უეზდის ქალაქიც უნდა იყოს, ძუთაისი, და თან დასძინა, რომ, თუ ჩემს აზრს ქალაქიც შეუერთდებაო, მაშინ სემინარია არ აგცილდებათო ძუთაისში.

„ქალაქმა დიდი მადლობა შესწირა უფ. მარსოვს, რომ ასეთს მონაწილეობას იღებს ძუთაისისთვის და აღტაცებით განუცხადა, რომ, სანამ დაწერილებით ამასვე მოახსენებდეს სამასწავლებლო უწყების მზრუნველს, ეხლა კერძოთ გარდასცეს მას ქალაქის მხრით, რომ ის მზათ არის, რითაც კი შეეძლება, დახმარება გამოუჩინოს ამ საქმეში, გინდ ადგილის ჩუქებით, გინდ ქალაქის შემოსავალ-გასავალის შეხედით ფულითაც, ოღონდ სემინარიას ძუთაისს ნუ ააცილებენ.

„ჩვენ შევიტყვეთ, უ. ძუთაისის ღუბერნატორს ხსენებული სემინარია ჰსურს დაარსდეს ს. ცეისში ლეჩხუმისა და სამეგრელოს სამზღვარზე. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, თუ უ. ღუბერნატორი რითი ხელმძღვანელობს ამ ადგილის გამორჩევის დროს. ცეიში გახლავსთ ერთი ყრუ ადგილას მიგარდნილი ყრუ სოფელი, სადაც, ორიოდე ყაზარმის მეტი არა მოიპოვება-რა.

„ეჰედია, სამასწავლებლო უწყების მზრუნველი არ დაადგდებს უყურადღებოთ ქალაქის თხოვნას და არ ააცილებს სემინარას ძუთაისს.“

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა ერთის თფილისის მოქალაქისაგან:

„მას აქეთ რაც ყასაბხანა, მთავრობის განკარგულებით, ქალაქს გარეთ გააწესეს, ხორცის სიაფე აღარ ყოფილა. ამისა გამო რადგანაც სხვა ყოველიფე საზრდო, საჭმელიც და სასმელიც თანდათან უფრო ძვირდება, ზოგიერთს ღარიბს პირთ, არამც თუ უბრალო დღეს, არამედ საუფლო დღესაც არ ღირსებია პირის გახსნა ხორცითა, ხოლო ამათი საზრდო არის ერთი იაფი საჭმელი ესე იგი „მახოხი“ (გამოწურული ქატოს წვენი), რომელიც ნამეტნავათ ისყიდება ავლაბარში, სადაც ერთ კაცს ცხელ-ცხელი კოკით, დიდის თიხის ჩაფით ქუჩა-ქუჩა დაქვს და თითო ჯამით ჰყიდის; ხალხი მარხვაშიაც და სხნილშიაც, თავიანთ ნაკლულებისა გამო, ამ მახოხით იკვებებიან.

„მაგრამ ახლა ამ „მახოხის“ გამყიდველმაც ნახა, რომ მუშტარი ბლომათ ყოფილებას ვიჩენდი მარტო ოსმალოების სათვალ-ფერისოდ; მაგრამ შინაგან ტკბილი სული, გული მუდამ ქამს რაღაცა გამოურკვეველი სიმწუხრის ბნელ უკუნით მოცული მქონდა, ეცდილობდი მუდამ ცისმარე დღეს, ამ ჩემი დავარდნილ-დაცემული მდგომარეობის როგორმე გაუმჯობესებას. მაგრამ ვერაფერი ვერ მოვიგვარე!..

ან როგორ ავიცილებდი თავითგან ეგრეთ ბოროტ-მოელინებათ, როდის ერთის მხრით ოსმალოების უსამართლობა, მძლავრობა, ცარცვა-მგლეჯელობა, დამაქცეველობა და ჩემ ტკბილი სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატიალება დღითგან-დღეზედ უფრო და უფრო მატულობდა?.. მეორე მხრით ჩემსა საყვარელ მოძმე მესხ-ქლარჯთა ზნეობრივი საშინელი გარყვნა, განებიერება, ავგულობა, მეთავეთობა, სიხარბე, მგლეჯელობა, მოსისხლობა, ჭრა, კელა და მისთანა კაცობრიობითის გზა-კვლითგან გარედ გასელა ღუპვედა ჩემს ქვეყანასა! მით ერთი საათი მე ერთ დღედ მიმაჩნდა, დღე ერთ მზგებრად, მზგეფრი თთვედ, თთვე ერთ წლად და წელიწადი ერთ მრთელ საუკუნოებად.

ჯერ ოცი, ოც-და-ხუთის წლისა არ ვიყავი, რომ მრავალ საუკუნოების უწყალოდ დატანჯულ მსხვერპლადა ეტანება, ერთ კაპეიკანი ჯამი ... კაპეიკათ გახადა.

„ამ სიძვირისაგან ყასაბხანაში სამი კაცი აშენდა და ნახევარი ქალაქი კი მეწუხებულია.

„ამისათვის რიგია, რომ ქალაქის ზამგეობამ მიხედოს საზრდოს მოვაჭრე ხალხთა, შეაძლებინოს მცირედი ფასის დაკლება, და ამით ღირსი გახადოს ხორცის ჭამას დანატრულებული ღარიბი კაცი, რომელსაც საშინელის მჟავის „მახოხის“ ჭამით ყელი ამოხლანძულია აქეს..“

ქალაქის ზამგეობამ მიიღო მხედველობაში ეს საზოგადო უკმაყოფილება და შევიწროება ყასაბხანის ქალაქ გარეთ გადატანისაგან და ერთს თავის უკანასკნელ სხდომაში გარდაწყვიტა, იშუამდგომლოს უფ. თფილისის ღუბერნატორთან, რომ ყასაფხანა ისევ ქალაქში (პარუმბეგოვის შენობაში) იქმნეს გადმოტანილი.

ემედია, რომ უფ. თფილისის ღუბერნატორი დაკმაყოფილებს ახლა ეს თხოვნას, რადგან ის მიზეზები, რომელთაც აიძულეს შარშან ყასაბხანის ქალაქ გარედ გადატანა, წელს აღარ არსებობენ..

„დროების“ კორესპონდენცია

ძუთაისი, 6 ივლისს. 4 ამ თვეს იყო მესამე და მგონი უკანასკნელი წარმოდგენა თფილისიდგან ჩამოსულ ტრუპისა. მესამე და უკანასკნელითქო, ვამბობ, მაგრამ ბევრით უკეთესი იქნებოდა—მეორე და უკანასკნელი რომ ყოფილიყო. წარმოადგინეს „ცოლი თუ ვინდა ეს

ფელეტონი

გულწრფელი აღიარება

კაცის ცხოვრება თავითგან ბოლომდისინ დღე-ღამესავით მუდამ ცელა-მოძრაობაში არის.

***

მე მინდა, ბატონებო, მოგახსენოთ ჩემი ცხოვრების უმთავრესი თავგარდასავალი გულ-მართლობითა.

მე ჩემის ყმაწვილობის მოღმა, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალოების ქვეშევრდომობაში ავახილე თვალი: თავითგანვე ჩემი თანა-მემამულე ჩემ მოძმეთ ტანჯვა, ჩაგვრა, თავში ცემის მეტი არა მინახია რა! ბაზეიადებული ლხინ-სიხარული რა არის კაცისთვის, უთუოდ მალე მოსძაგდება, მოსწყინდება, რომ ჭირი, ნაღველი, კენესა და ოხვრა რა იყოს!...

თუმც მე კერძოდ ჩემის ღირსების შესაფერად მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პაპეული, თუ ჩემგან შეძენილი, რომლით შემეძლო თავისუფლად ოსმალურ გალაღებით და შვებით სიცოცხლე; მაგრამ ესე ყველა გარეული გამოჩენილობა თვალში სრულ არაფრად არ მომდიოდა!

პირად ძალა-ნებრივ სიმხიარულე-კმაყოფილებას ვიჩენდი მარტო ოსმალოების სათვალ-ფერისოდ; მაგრამ შინაგან ტკბილი სული, გული მუდამ ქამს რაღაცა გამოურკვეველი სიმწუხრის ბნელ უკუნით მოცული მქონდა, ეცდილობდი მუდამ ცისმარე დღეს, ამ ჩემი დავარდნილ-დაცემული მდგომარეობის როგორმე გაუმჯობესებას. მაგრამ ვერაფერი ვერ მოვიგვარე!..

ან როგორ ავიცილებდი თავითგან ეგრეთ ბოროტ-მოელინებათ, როდის ერთის მხრით ოსმალოების უსამართლობა, მძლავრობა, ცარცვა-მგლეჯელობა, დამაქცეველობა და ჩემ ტკბილი სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატიალება დღითგან-დღეზედ უფრო და უფრო მატულობდა?.. მეორე მხრით ჩემსა საყვარელ მოძმე მესხ-ქლარჯთა ზნეობრივი საშინელი გარყვნა, განებიერება, ავგულობა, მეთავეთობა, სიხარბე, მგლეჯელობა, მოსისხლობა, ჭრა, კელა და მისთანა კაცობრიობითის გზა-კვლითგან გარედ გასელა ღუპვედა ჩემს ქვეყანასა! მით ერთი საათი მე ერთ დღედ მიმაჩნდა, დღე ერთ მზგებრად, მზგეფრი თთვედ, თთვე ერთ წლად და წელიწადი ერთ მრთელ საუკუნოებად.

ჯერ ოცი, ოც-და-ხუთის წლისა არ ვიყავი, რომ მრავალ საუკუნოების უწყალოდ დატანჯულ მსხვერპლადა ეჰგრძნობდი მე ჩემს ნორჩ, ახალად გაშლილ ყვავილოვან სიცოცხლესა! ამ ნაირი ჩემი ტანჯული სიცოცხლის წამლად ესთქვი ქვეყანაში შესვლა, ცოლის შერთვა, დაწვრილ შვილება, ხან ერთზედ, ხან მეორეზედ გულის გადაყოლება, მოყვრებში კარგი დროების გატარება, ლხინი, სიხარული, ნავაუდობა და მისთანა კაცის გულის მასიმოვნე. მაგრამ ამ ყველა საშუალებამ რაც არ მომმიმატა უფრო ჭრი-ჭრზედ, თვარემ საიმისოდ არა შეუმსუბუქებიათ რა ჩემთვის. ერთის სიტყვით, რკინის გალიაში შენწვდეულ ვეფხვის მდგომარეობას ჰგავდა დაახლოებით ჩემი მდგომარეობა მუდამ ვცდილობდი ჩემის თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნიოურთ ოსმალოების ხელიდგან და რუს ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესვლას, რომლის მფარველობაშიც იყვნენ დიდის ხნის მოღმა ჩემთ უმრავლეს საყვარელ მოძმეთ მხარე-ქვეყნები: ეიერეთი, ქართლი, ქახეთი, მესხეთის მცირე ნაწილი და სხვა; მაგრამ, არ იქნა არ მეღირსა!..

1853-ს ომიანობისა, ცოტა რამ იმედი მომეცა. ვამბობდი: აგერ ახლა გამოვალ ოსმალოების ქვეშევრდომობითგან, ჩემიანებსა და ჩემს ქვეყანასაც გამოვიხსნი იმათ მტარვალობითგან და

არის,“ „მოტია,“ „Celqebi“ და „ბიჭის დღიური“ ბოგოლისა, გადმოთარგმნილი ქ. მესხისაგან.

„ბიჭის დღიური“ ქართულს ენაზე, რომელსაც ქ. Uიფიანი ადგენდა, ვერ წავიდა ისე, როგორის მოლოდინიც გექონდა. ბარდა ჩინებულის მოართულობისა და სწორეთ გიჟური შეხედულობისა, არა რჩებოდა-რა კაცს ხსოვნაში; ის გულის გამგლეჯი შთაბეჭდილება, რომელიც უნდა მოხდეს ამ დროს მცირეთ მგრძნობიერ კაცში, სრულებით არ მომხდარა. მითომ ჰბაძავდა პრავდინს, მაგრამ....

„Cოლი თუ გინდათ, ეს არის!“ წავიდა გვარიანათ. საფაროეის ქალმა ითამაშა ნამდვილი ჭირვეული ცოლის როლი, ნამეტურ ის ალაგი, სადაც ისტერიკა მოდის. ვ. აბაშიძეს, რომელიც ადვოკატის როლს თამაშობდა, ცოტა არ იყოს უგულობა ეტყობოდა; მაგრამ მაგიერათ ამათი ნაკლულევანება ააგვირგვინა უ. მაჩაბელმა იმერლის როლში. ბასაკვირველია, ნუთუ ისეთი სიძვირეა კაცის Oფილისში, რომ ასეთი უხეირო მოთამაშე აიყვანოს ტრუპამ ნამეტურ იმისანა როლებისათვის როგორც „პეპო“ და „იმერელის“ როლი? Iმერეთში „იმერლის“ როლი ითამაშოს ქართველმა კაცმა, მემრე იმისანა მოუხერხებელმა, როგორც უ. მაჩაბელია, ეს მეტის-მეტი სითამამეა! Aი ქართველი მეურმე იყოს ან კიდე სხვა ამგვარი, მესმის...

„მოტიაში“ თამაშობდნენ თქვენგან ცნობილი ამ პიესაში პირები, გარდა საფაროეის ქალისა (მაგიერათ ქორინთელი—მოტიას როლს). ვერ წარმოიდგენთ რა მოლოდინი გექონდა ამ ჩინებული ოდევილისა. Oრი საუკეთესო მოთამაშე (აბაშიძე და მესხი) საუკეთესო როლებს თამაშობდნენ და თამაძათ შემძლიან ვთქვა, რომ ორივემ საუკეთესოთ გააფუჭეს. მესხი, რომლისთვისაც თითქოს ეს როლი განგებ არის გაჩენილი ან რომელიც თვითონ არის ამ როლისათვის შექმნილი, ისე გაფუჭდა, რომ სიბრალული მოუვიდოდა მაყურებელს. Aღარც ის შესაფერი მიხვრა-მოხვრა, აღარც ის სახის გამომეტყველება, რომლის დაჩვეულიც ვიყავით ამ როლში აქაურები. Dახტოდა რაღაც უგემურათ და, ვითომ ხალხის გასაცინებლათ, წამოისროდა უადგილო ალაგს შეუფერებელ მახვილობებს, რომლებიც სრულიად არ ეწებებოდნენ ერთმანეთსა.

ვ. აბაშიძე Uარფაროესკის როლში შესანიშნავი იყო ყოველთვის; ამ წარმოდგენაში კი არ ეიცი რა დაემართა; გადაჭარბებაც ყოველთვის უყვარდა, მაგრამ ამდენათაც სწორეთ არ გამიგონია!

Aქაო და ხალხი გავაცინოო, ამისთვის ხომ მალაყზე არ უნდა გადავიდეს კაცი. რაღაც კანკანის თამაში გამიგონია, სწორეთ იმისთანა ფიგურებს აკეთებდა ხოლმე სცენაზე. აბაშიძემ უნდა იცოდეს, მგონი, რომ თეატრში ბევრ ნაირი ხალხი დადის; ამ გვარი ქცევა ზოგს გააცინებს, ზოგს აღტაცებაში მოიყვანს და ზოგს შემდეგში თეატრში წასვლის სურვილს დაუკარგავს. Aმ შემთხვევაში მოთამაშემ არც მწვადი უნდა დასწვას და არც შამფური, უნდა ითამაშოს ისე, როგორც ნამდვილად როლის ხასიათი თხოულობს...

„მოტია“, ქორინთელის ქალი, ერთიც უმარილო იყო; მხოლოთ ერთი სიტყვის მეტი იმას გულით და ხეირიანათ არ უთქვამს, ეს სიტყვაც გახლდათ „მინდა.“

ნიფადორა ქუზმინიჩნას როლი ისე შეუფერებლათ ითამაშა ბაბუნიას ქალმა, როგორც ესვე ითამაშებს მშვენიერ Eლენეს.

Uველასგან იმედ-გადაწყვეტილი ეფექრობდით „Celqebit“ დატკბობას; მაგრამ ზემოთ-მოხსენებულები შეგვანატრა ამან. საფაროეის ქალის თამაშმა არათუ ცელქები წარმოვიდგინა, არამედ მე ვერც კი წარმომიდგენია რას თამაშობდა და რა უნდოდა, რომ ეთამაშნა. Iს სიცოცხლე, რომელიც თითქის ყველა ოდევილებში ამ ჩინებულ მოთამაშესა აქვს, ის მიხვრა-მოხვრა თითქოს სანანებლათ გახდომიაო და გაბუტული იდგა სცენის კუთხეში, დალურსმულივით. Aმბობენ, როლი არ იცოდაო; მაგრამ დიაკონივით კი სხარტალობდა-და..

ვ. აბაშიძემ (ბორდიცინის როლში) თუმცა გადააჭარბა, მაგრამ შეიძლება თქვას კაცმა, რომ გვარიანათ ითამაშაო. ქ. მესხმაც (ბოლუბკინის როლი) ითამაშა ერთ რიგათ; მაგრამ ვისაც ამ როლში უ. ლეჟავა უნახავს, გასაკვირველი არ იქნება, რომ სხვა არ მოეწონოს. ზაკამსკის როლს თამაშობდა უ. მაჩაბელი, რომელმაც ჩინებულათ წარმოგვიდგინაო ნიკოლოზ პირველის დროის კარგათ გაწრთვნილი სალდათი.

ბათავების დროს, როცა გადავხედე აუარებელ ხალხს, ჩემ-და-უნებურათ მოდიდებულ რუსეთს შეუერთები. მაგრამ, საუბედურო, ყოველი საშუალი გამიწყალ, გზა-კვალი დამეხშა, ყოველგნით ფოლხი მომედგა და ხელი მომეცარა!.. ბანა მოიპოება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მევობარი, რომ შენი ხვაშიადი მოანდო, პატიოსნად შეგინახოს და არა გაგთქვას? ბანა მოიძევება მუდამ თ. ბრ. ბურიელისთანა, უ. ვ. მეფისაშვილისთანა და ზოგიერთ ახალციხელებისთანა გამოსადეგი ძმა კაცები გაჭირებული კაცის ხელის-ხელმანდილად და წყლული გულის სალბუნ-წამლად, რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე-ბედისაგან განწირულმა კაცმა?!..

რაც იქნა, იქნა, მადლობა ღმერთსა, ამათ სრულ აღარ მოვიხსენებ, ყველას დავიწყების უფსკრულში მივსცემ. Aხლა მადლობა, ქება და დიდება ყოველის მპყრობელს, ყოველის შემძლებელს, ყოველად სახიერს ერთს ღმერთსა, რომ ამ ყველა ჩემის გულ-სულის შემაიწროებელმა ბნელ ღამის წამმა განელო, გარდიარა. 1877 წლის ოქმიანობის მოღმა, ჩემდა საუკუნო სასიხარულოდ მომეცა საშუალება ღვთის მადლით მაღალ რუს ხელმწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მეცა და ჩემს თანამოძმეთაცა ჩვენს ერთგულ რიცხვედ ძმათა თანა შეერთებითა. Qვთის კურთხეული განგება რომ ჰხედავდა მუდამ ჩემი შეწუხებული გულის კვნეა-ოხვრასა, ნუგეშით მომმაგო სამაგიერო, მით ღამის ბნელი უკუნი ბრწყინვალ დღედ გარმექცა. სიმწუხრე სიხარულად და ჭირი ლხინზედ შეეცვალა!..

მის მოღმა დაუახლოვდი ქ. Oბილისს სხვა-და-სხვა ჩინებულ პირთა, თავადთა და აზნაურთა. Oავითგან მოყოლებული უკანასკნელ აღსავლის მქონე პირთამდის და მათთანა პატივცემულ ყოველ წოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერაოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს დღეში მე იმათ დიდ მოკეთობას, წრფელ კაცთ-მოყვარებას და მიღებულებას!.. Oუმც ახლა დროებით ცოტა ხნით დავშორდი მე იმათ მწყალობელ მოკეთე მოყვრობას, მაგრამ სული-გული ისევ იმათთან მიბრუნამს, იგინი არიან ჩემი გონების მარად მაბრწყენნი, სასო-იმდენი და დაუვიწყებლად ძვირფასნი სახსოვარნი...

Qმერთმან ჰქმნას, ისევ მალე მივხდე მე ჩემი გულის საწადსა, მათთან ხლებასა, რომლის მსგავსი უბედნიერესი წამი არ შეიძლება იყოს ჩემთვის ამ ქვეყანაზედა... Qმერთმან ჰქნას, მეცა და ჩემთ თანამოძეთაცა საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდი კეთილშობილური მოქმედება; შეეერთებულ ვიყოთ მტკიცე ძმურად ჩვენს დიდის ხნის აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხვ ძმათათანა, სულითა და გულითა და ყოველი კეთილ განწყობილებითა ხელი-ხელს მიგვეცეს და გარდგვედგას ის გმირული ნაბიჯები, რითაც განთქმულ იყვნენ ქრისტიანობისა ჩვენი წინაპარნი საქვეყნოდ, ეხაროსთ დიდის ხნის მოღმა იმათ ღრმად მიძინებულს სულს-გულსა და იშვებდენ ჩვენის ღირს მემკვიდრეობითა, რომლით წინ წავა ქვეყნის მაშენებლობა. განახლდებიან ციხე-ტაძარნი, სამოქალაქო ეაჭრობა, ხელოსნობა, სწავლა-მეცნიერება ზნე კეთილობით, ერთი ათასად და ათი ათასად წარიმართება მიწის შემუშავება, ნერგვა, წინდვა, მყენა გამრავლდება, ყოველი საზრდო გაგვეფფთება, რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს ღვთის მსახურებით, სიმართლით და კაცთ-მოყვარეობითა...

შარიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.

ქ. Aრტაანი, 29 თებათვეს.

მადგა ტუჩებზე ანდაზა: „შინაური მღვდელს შენდობა არა აქვს.“

მაყურებელი,

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

პარიჟული კორრესპონდენტი გაზეთის „ბელგიის დამოუკიდებლობისა“, სხვათა შორის, იწერება, რომ 12 იელისისათვის, როდესაც პრინც ნაპოლეონის გვამი უნდა მიიტანონ ლონდონში დასამარხავად, დიდ ძალი ხალხი აპირებს პარიჟიდამ წასვლასაო; ყველა გამოჩენილი ბონაპარტისტები უეჭველად წავლენო; რუე ერთი კვირით ადრე წავა, რომ დამარხვის ცერემონია მოახდინოს.

—წელს საფრანგეთში და ინგლისში ძალიან სუსტ მოსავალს მოელიან, რადგან გაზაფხულზე და ზაფხულზე ცუდი ტაროსები იდგა. განსაკუთრებით პურისა და ქერის მოსავალს ამბობენ ცუდს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლეპერმა გამოაცხადა ამას წინათ სამინისტროს რჩევაში, რომ, სუსტი მოსავლის გამო, წელს საფრანგეთს უკანასკნელი 600 მილიონი ფრანკის (230 მილიონ მანეთამდინ) მარტო პურის ყიდვა დასჭირდებაო სამძღვარ გარეთაო.

ებრეშუმისა და ღვინის მოსავალსაც, ისმის, კარგსად მოელიან წელს საფრანგეთში.

მაგიერად არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება ისე თამამად და სამართლიანად დაეტრაბახოს თავის ფინანსების ჩინებულ მდგომარეობით, როგორც საფრანგეთს: იუჯეტის (სახელმწიფო შემოსავალ-გასაელის) თაობაზე მოლაპარაკების დროს ფინანსის მინისტრმა გამოაცხადა დეპუტატთ პალატაში, რომ ივნისის თვის განმავლობაში საფრანგეთის ხაზინას, ყველა ხარჯს გარდა, 17 მილიონი ფრაკი წმინდა შემოსავალი დარჩაო.

განცხადებანი

გამგებელი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შესაწევნელად შეუძლებელთა მოსწავლეთისთვის ამით აცხადებს, რომ არძების შემოტანა ბავშვების მიღებაზედ შკოლაში ამ წლის სეკტემბრიდგან შეიძლება ივნისის ათიდგან აგვისტოს ოც-და-ხუთამდე. არძასთან საჭიროა იყოს წარმოდგენილი ნათლობის მოწმობა ან კანტორის, ან ადგილობრივი მღვდლისა. არძებს მიიღებს ვიცე-პრედსედატელი გამგებელი კომიტეტისა თავ. დავით ივანეს ძე ავალიშვილი თფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ბანკში და შკოლის მასწავლებელი უ. ქიფიანი თვით შკოლის სადგომში, რომელიც იმყოფება ქუკიაში, აგურის ქუჩაზე, თაქთაქიშვილის ახლებში.

(6—6)

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქურო:ვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შაეერდოვის ბაზეთის საგენტოში, ბულვარზე.

მაქვს პატივი ბანუცხადო თფილისის პატივცემულ ვაჭრებს, რომ მე მოვიტანე პარიჟიდამ ყოველ გვარი საქონლის ნიმუშები, რომლებზედაც ვილებ ზაკაზებს კარგის პიროგებით.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ეს ნიმუშები უ. არწრუნის ქარვასლაში № 181, სადაც იქმნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჟის ფირმა: **Gilles et Iohan Chandons.**

წარმომადგენელი ზ. იეზოვი.

(12—12

მიიცემა ქირით

მარიამობის პირველიდან მაღაზია შკაფებით და სხვა რიგი გამართულობით (შეიძლება უამათოთაც) ვარანცოვის პამიატნიკის გვერდზე, ნარიმანოვის სახლებში.

მსურველს დაწერილებით შეუძლიან გაიგოს აბესალომოვის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე. (1—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

„ყარამანიანისა“

ქუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზოევის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი ყარამანიანისა ფასი 40 კაპ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	8	კაპ.	8.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	6	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ.		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ ღღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ
და საზღვარ გარეთ:		
ღია წიგნს		3
დაბეჭდილს (სამი მისხალი) .		7

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი 4 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	20
შქვ. წითელი . .	1	60
ქერა ფუთი . . .	1	40
ბამბა ამერეკისა, ფუთი.	8	50
—ამერიკისა, ფუთს .	9	30
ბაენტილი ბამბა ფუთი.	10	70
მატყული თუშური ფუთი.	8	20
—თარაქამისა ფუთი .	4	30
აბრეშუმა ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	90
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	12	35
ხორცი ძროხისა .ლიტრა	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროც. ფუთ. .	7	10
—ფხვნილი ფუთი .	5	75
ყავა რგვალი გრვ. .	—	60
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	11	80
თაბაქო საშუალო ფუთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მ.ლ., წინამძღვაროვ. სახლი. ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი და ბაბოევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჟურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი—ნერვების.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჟურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოევი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შაბათს: ვერმიშევი, რეიხი და ჟურავლევი.

ორბეტი — კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюня 1879 г. Типографія Меликова. ბეჭდავს ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.